05/01/2020

რუსლან აბაშიძე პატრიარქს დაბადების დღეს ულოცავს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუსლან აბაშიძე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს დაბადების დღეს ულოცავს.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვულოცავ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადებიდან 87-ე წლისთავს.

დიდია მისი უწმინდესობის ღვაწლი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინების, დაქსაქსული საზოგადოების გაერთიანების, მრევლის ცნობიერების ამაღლების და ქვეყნის ინტერესების დაცვის საქმეში.

42 წელი გავიდა, რაც ღირსეულად ატარებს პატრიარქის მძიმე ჯვარს, მისი მოღვაწეობა საქართველოს ერთობის, აფხაზეთის საზოგადოების სულიერი სიმტკიცის, კულტურული იდენტობის შენარჩუნების და სახელმწიფოს განუყოფლობის გარანტია.

გვჯერა, მისი მონდომება შედეგს გამოიღებს და სერიოზულ წვლილს შეიტანს

ხელოვნური ბარიერებით დაშორიშორებული საზოგადოების გამთლიანებაში.

ღმერთმა უმრავლოს მის უწმინდესობას სიცოცხლის წლები!“ – ნათქვამია მისალოცტექსტში.

— ipn.ge